შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც მშობელ კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შემენის აღსარიცხავად გამოიყენება შემენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ

ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის მშობელ კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება მშობელი კომპანიის მფლობელებს.

ჯგუფში შედგება შემდეგი შვილობილი კომპანიებისგან (ყველა მათგანი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე):

დასახელება	მშობელი კომპანიის წილი		კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	საქმიანობა
	31.12.2018	31.12.2017		
შპს „ქუთაისი პლაზა“	50%	50%	404898697	უძრავი ქონება
შპს „ოილ ინვესტი“	67%	67%	205202261	არ ფუნქციონირებს
შპს „ბორჯომის სავაჭრო ცენტრი 2005“	100%	100%	226155889	უძრავი ქონება
შპს „მკ დეველოპმენტი“	51%	51%	404960217	უძრავი ქონება
შპს „ჯორჯიან ბაზალტი“	50%	50%	405233732	წარმოება (დაფუძნდა 2017)
შპს „მშენებელი“	92.89%	49.89%	202052492	უძრავი ქონება
სს „ლაგუნა“	100%	100%	248435493	სპორტ კომპლექსი ქ.ქუთაისში
შპს „მკ ფროფერტი“	51%	51%	405227268	უძრავი ქონება (2017 წელს დაარსდა შპს მკ დეველოპმენტის მიერ)

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. საწარმო იყენებს წილობრივ მეთოდს მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების აღრიცხვისათვის.

წილობრივი მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის ისთავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში.

წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში, ხოლო მეკავშირე საწარმოს წილის შემდგომი მოძრაობები ასახულია სხვა სრულ შემოსავალში.

ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

თუ საწარმოს წილი მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში, ინვესტორი წყვეტს თავისი წილის აღიარებას შემდგომი პერიოდის ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინვესტორს აღებული აქვს მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობები, ან მისი სახელით გადახდილი აქვს თანხები.

შემოსულობა და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ინვესტორსა და მის მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოს შორის „ქვემოდან ზემოთ“ და „ზემოდან ქვემოთ“ ოპერაციების შედეგად, ინვესტორის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში სხვა არადაკავშირებული ინვესტორების წილის შესაბამისად. ინვესტორის წილი ამ ოპერაციებიდან წარმოქმნილ მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს მოგებასა და ზარალში ელიმინირდება.

მეკავშირე საწარმოებზე დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	საქმიანობა	წილის % 31.12.2018	წილის % 31.12.2017
შპს სმარტ რუსთაველი	საცალო ვაჭრობა	-	27,71%

(დ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალების აღიარება უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები და დაუმთავრებელი მშენებლობა	5% შემცირებადი ნაშთი
მანქანა/დანადგარები და მოწყობილობები	10% შემცირებადი ნაშთი
საცალო მალაზიის აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15% შემცირებადი ნაშთი
სხვა	20% შემცირებადი ნაშთი
მიწა არ იცვითება	

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. გადაფასების ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში, აქტივის ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ხდება მისი გაყიდვა ან მისი გამოყენების გაგრძელების შემთხვევაში აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო სიკეთეების მიღება. ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი ნამეტი ან დანაკარგი გამოითვლება, როგორც სხვაობა სარეალიზაციო ფასსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებად ან ზარალად. აქტივის რეალიზაციის დროს, კაპიტალში არსებული გადაფასების ნამეტი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

იჯარით აღებული აქტივები

ფინანსური იჯარა ისეთი იჯარაა, რომელიც გულისხმობს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს ან არა. იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ ფინანსური იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში.

ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ცვეთადი საიჯარო აქტივების მიმართ მოიჯარის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საკუთარი ცვეთადი აქტივების მიმართ გამოყენებულ ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას, ხოლო აღიარებული ცვეთის თანხების გაანგარიშება უნდა ხდებოდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების (კომპანია არ ფლობს იჯარით შესაბამისად. თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი მთლიანად უნდა ჩამოიწეროს იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდით.

(ე) არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებელ გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, 15% ამორტიზაციის განაკვეთით, შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

(ვ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან/და კაპიტალის ღირებულების ზრდის (მათ შორის დაუმთავრებელი მშენებლობა) მიზნით. თუ ჯგუფი გასცემს ქონებას ქირით „ვისოლ ჯგუფის“ წევრებზე და ეს ქონება არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას ამ სუბიექტებისთვის, მაშინ ასეთი ქონება კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და არა, როგორც საინვესტიციო ქონება.

თავდაპირველი აღიარების დროს, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან (მაგ. იურიდიული მომსახურების საფასური, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები). საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის (შენობა-ნაგებობები) თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, 20 წელი.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. იჯარით გაცემული აქტივები არ კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. საინვესტიციო ქონების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება,

როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოძინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი. გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი პირველ რიგში უნდა განაწილდეს ერთეულთა ჯგუფზე მიკუთვნებულ გუდვილზე (არსებობის შემთხვევაში) და შემდგომ მოცემული ერთეულის სხვა აქტივებზე, თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ხდება აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება (ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას).

(თ) სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსურ აქტივებს ჯგუფი აღიარებს ხელშეკრულების დადების თარიღით, აქედან გამომდინარე აქტივი აღირიცხება მაშინ როდესაც ის იქნება მიღებული ან კიდევ გაუქმებული იმ დღეს, რა დღესაც ის იქნება მიწოდებული ჯგუფის მიერ.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა დაიწყო ფასს 9-ის გამოყენებით აქტივების შემდგომი შეფასების კატეგორიების გამოყენება:

სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლით; ან
ამორტიზირებადი ღირებულებით.

კლასიფიკაციის მოთხოვნები სასესხო და კაპიტალის ინსტრუმენტებისთვის აღწერილია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისას
- ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებადი ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიფო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელმწიფო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- **სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელმწიფო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელმწიფო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის

გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი, რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს ჯგუფი თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გამოყენებით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით, რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც ჯგუფის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	<30	31 – 60	61-90	91-180	180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:
1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. მხოლოდ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის, ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ოვერდრაფტებს, რომელთა გადახდაც ხდება მოთხოვნების შესაბამისად. რადგანაც, აღნიშნული საბანკო შეთანხმებებისათვის დამახასიათებელია საბანკო ნაშთების ცვლილებები დადებითიდან ოვერდრაფტში, ეს ჯგუფისათვის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა.

(კ) შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

საწარმოს კომპონენტი მოიცავს ისეთ ოპერაციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა ნათლად გამიჯვნა, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია საწარმოს დანარჩენი ნაწილისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმოს კომპონენტი გამოყენების პერიოდში უნდა ყოფილიყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი. თუ საწარმო მოგებისა და ზარალის ელემენტებს წარადგენს განცალკევებულ ანგარიშგებაში, როგორც აღწერილია ბასს 1-ის (შესწორებული 2011 წელს) 10ა პუნქტში, მან ამავე ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინოს განყოფილება, რომელსაც ეწოდება შეწყვეტილი ოპერაციები.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები)

საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიაჩნებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს. იმისათვის, რომ გაყიდვა მაღალი ალბათობით იყოს მოსალოდნელი, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. ამასთან, უნდა მოხდეს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მის მიმდინარე რეალურ ღირებულებას. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გეგმის დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებები იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის. საწარმო გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) შეაფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. როდესაც აქტივი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივი ან მიეკუთვნება გამსვლელ ჯგუფს, საწარმომ უნდა შეწყვიტოს ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა.

(ლ) წინასწარ გადახდები

ავანსების აღრიცხვა ხდება გაუფასურების ზარალით გამოქვითული ღირებულებით. ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი, როდესაც გადახდილი ავანსის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც ავანსი ეხება აქტივს, რომელიც კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივად პირველადი აღიარებისას. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს აქტივს და მოსალოდნელია მომავალში ამ აქტივის გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება. დანარჩენი ავანსები გადადის მოგება/ზარალში საქონლის ან მომსახურების მიღებისთანავე. თუ მოსალოდნელია გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება, მაშინ მოცემული ავანსი ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გადადის მოგება/ზარალში.

(მ) საპროცენტო ხარჯები

განსაკუთრებული აქტივის (აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი) შემენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები უნდა აღირიცხოს აღნიშნული აქტივის

თვითღირებულებაში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. მიღებული სესხების ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც არსებული ხარჯი ეკუთვნის.

(ნ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის:

	ლარი / დოლარი	აშშ / დოლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
საშუალო კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.5345	2.9913
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.5922	3.1044
საშუალო კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.6125	3.0928
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.6468	2.7940
საშუალო კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.3667	2.6172
გაცვლითი კურსი 2016 წლის 1 იანვარს	2.3966	2.6137

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

(ო) მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების

გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულებამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. ჯგუფი საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

(პ) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების

ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

(ჟ) გუდვილი და საწარმოთა გაერთიანება

საწარმოების გაერთიანებისას გამოიყენება შეძენის მეთოდი. შეძენის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. თითოეული გაერთიანების შემთხვევაში ჯგუფი აფასებს შეძენილ საწარმოში არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულების ან შეძენილ საწარმოს წმიდა აქტივების პოროპორციული წილის მიხედვით და არასაკონტროლო წილის სხვა კომპონენტებს მათი შეძენის დღეს სამართლიანი ღირებულებებით. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

თუ საწარმოების გაერთიანება ხორციელდება ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე ფლობილი წილების სამართლიანი ღირებულება შეძენის დღეს ხელახლა გადაფასდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით. შემდეგ ეს გათვალისწინებულია გუდვილის განსაზღვრებაში. გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც აღემატება არასაკონტროლო წილებთან დაკავშირებით აღიარებული თანხის და გადარიცხული თანხის ჯამს და ნებისმიერ მანამდე ფლობილ წილთან, ჯგუფის წმინდა შეძენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება აღემატება აღნიშნულ გადარიცხულ თანხას, ჯგუფი განმეორებით შეაფასებს სწორად მოახდინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და აღებული ვალდებულებების იდენტიფიკაცია და განიხილავს გამოყენებულ პროცედურებს შეძენის დღეს ასაღიარებელი თანხების შეფასებისთვის. თუ განმეორებით შეფასებისას შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება კვლავ აღემატება გადარიცხულ თანხებს, მაშინ მოგება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი დაგვროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი შეძენის თარიღისთვის გადაეცემა ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით სარგებელს ნახავენ ამ გაერთიანებით, მიუხედავად იმისა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნება

თუ არა ამ ერთეულებს.

თუ გუდვილი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის და ოპერაციის ნაწილს, რომელიც ხორციელდება ამ ერთეულში, შეწყდება, მასთან დაკავშირებული გუდვილი აისახება ამ ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ასეთ გარემოებებში გუდვილი შეფასდება ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შესადარი ღირებულებების საფუძველზე.

3. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის:

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით, ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის

გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები:

ჯგუფის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია ჯგუფის პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭიროება. ჯგუფის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო კომპანიის შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწვეულია სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა კომპანიის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას არ აქვს გავლენა მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგორცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განმარტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება კომპანიის მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და განსაზღვრა:

ფინანსური აქტივის და ვალდებულების კატეგორიების განსაზღვრა და საბალანსო ღირებულება განისაზღვრება ბასს 39 და ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრიდან:

ბასს 39			ფასს 9	
ამორტიზირებულ ი ღირებულება	განსაზღვრის კატეგორია	საბალანსო ღირებულება ა	განსაზღვრის კატეგორია	საბალანსო ღირებულება ა
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტიზირებულ ი ღირებულება	3,522,935	ამორტიზირებულ ი ღირებულება	3,522,935
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ამორტიზირებულ ი ღირებულება	1,936,736	ამორტიზირებულ ი ღირებულება	1,936,736
გაცემული სესხები	ამორტიზირებულ ი ღირებულება	11,487,982	ამორტიზირებულ ი ღირებულება	691,104
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ამორტიზირებულ ი ღირებულება	4,683,504	ამორტიზირებულ ი ღირებულება	4,683,504
სასესხო ვალდებულებები	ამორტიზირებულ ი ღირებულება	120,705,219	ამორტიზირებულ ი ღირებულება	120,705,219
სულ		142,336,376		131,539,498

ბ)ჯგუფმა გააკეთა ბიზნეს მოდელების დეტალური ანალიზი ფინანსური აქტივების მართვისა და მათი ფულადი ნაკადის მახასიათებლებისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

	ბასს 39-ით საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის	რეკლასიფიკაცია	წინასწარი შეფასება	ფასს 9-ით საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს
ფული და ფულის ექვივალენტები საწყისი ბალანსი ბასს 39 და საბოლოო ბალანსი ფასს 9	3,522,935	-	-	3,522,935
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საწყისი ბალანსი ბასს 39 და საბოლოო ბალანსი ფასს 9	1,936,736	-	-	1,936,736
გაცემული სესხები საწყისი ბალანსი ბასს 39 და საბოლოო ბალანსი ფასს 9	11,487,982	-	(10,796,878)	691,104
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საწყისი ბალანსი ბასს 39 და საბოლოო ბალანსი ფასს 9	4,683,504	-	-	4,683,504
სასესხო ვალდებულებები საწყისი ბალანსი ბასს 39 და საბოლოო ბალანსი ფასს 9	120,705,219	-	-	120,705,219

გ) გაუფასურების ნაშთის რეკონსილაცია ბასს 39-დან ფასს 9 სტანდარტთან:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ იკაცია	კორექტირ ება	საბალანსო ღირებულება ფასს 9- ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
სახეები და მოტხოვნები (ბასს 39)/ ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირ. IFRS 9				
გაცემული სესხები	-	-	(10,796,878)	(10,796,878)
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-
ჯამი	-	-	(10,796,878)	(10,796,878)

ბასს 39-ის თანახმად გასული პერიოდის გაუფასურების საბოლოო ნაშთებისათვის კორექტირების საჭიროება ახალი ფასს 9-ის მიმართ არსებობს, როგორც ა), ბ) და გ) ნაწილებში აღინიშნა, ახალი ფასს 9-ის მიხედვით არ შეცვლილა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით გაზომვის კატეგორია, როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილშია ნაჩვენები. განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან:

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15 რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა რომ საწარმოო დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი ნაცვლად იმისა რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მხრიდან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან.

მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

კომპანიის მიერ გამოყენებული იქნა ფასს 15 რეტროსპექტული მიდგომით.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	იჯარით აღებული აქტივების კეთილმოწყობა	საცალო ობიექტის აღჭურვილობა	სხვა	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	2,532,020	2,883,891	2,773,049	3,637,548	2,420,720	4,472,889	18,720,117
შეძენა	24,000	318,850	1,685,761	790	-	841,272	2,870,673
ჩამოწერა	(76,001)	(364,456)	(1,014,768)	-	-	(461,655)	(1,916,880)
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	-	-	-	(3,222)	-	-	(3,222)
გასვლა	-	-	-	(3,630,510)	(2,420,720)	-	(6,051,230)
2017 წლის 31 დეკემბერი	2,480,019	2,838,285	3,444,042	4,606	-	5,122,505	13,889,457
შეძენა	-	7,359	98,272	-	5,402	623,497	734,530
მფლობელის მიერ შეტანილი ძირითადი საშუალება	-	182,000	-	-	-	-	182,000
გასვლა	-	-	(234,245)	-	-	(547,605)	(781,850)
ჩამოწერა	-	-	-	(4,606)	-	-	(4,606)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,480,019	3,027,644	3,308,069	-	5,402	5,198,397	14,019,532
დაგროვილი ცვეთა							
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(316,577)	(1,604,202)	(2,006,262)	(858,361)	(1,842,771)	(6,628,173)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(101,610)	(175,991)	(292)	(373,208)	(657,487)	(1,308,588)
გასვლა	-	162,774	710,204	-	-	344,315	1,217,293
შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვა	-	-	-	2,003,600	1,231,569	-	3,235,169
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(255,413)	(1,069,989)	(2,954)	-	(2,155,943)	(3,484,299)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(142,553)	(371,849)	-	(149)	(617,529)	(1,132,080)
გასვლა	-	-	199,361	-	1,197	349,229	549,787
შვილობილი საწარმოსთვის გაცემული აქტივის ცვეთა	-	-	870	-	-	-	870
ჩამოწერა	-	-	-	2,954	-	-	2,954
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(397,966)	(1,241,607)	-	1,048	(2,424,244)	(4,062,769)
საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 31 დეკემბერი	2,532,020	2,567,314	1,168,847	1,631,286	1,562,359	2,630,118	12,091,944
2017 წლის 31 დეკემბერი	2,480,019	2,582,872	2,374,053	1,652	-	2,966,562	10,405,158
2018 წლის 31 დეკემბერი	2,480,019	2,629,679	2,066,462	-	6,450	2,774,154	9,956,763

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალება.

ჯგუფს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია უზრუნველყოფის საშუალებები.

შპს „ველაჯიო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	დამუთავრებული მშენებლობა	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	34,448,460	61,766,273	9,633,700	105,848,433
შეძენა	299,269	3,673,897	6,408,631	10,381,797
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	9,494,885	-	9,494,885
გასვლა	(7,175,570)	(3,633,338)	-	(10,808,908)
რეკლასიფიკაცია შენობა-ნაგებობებში	-	-	(9,494,885)	(9,494,885)
2017 წლის 31 დეკემბერი	27,572,159	71,301,717	6,547,446	105,421,322
შეძენა	66,760	491,354	450,367	1,008,481
გასვლა	(4,861,441)	(1,711,345)	(625,844)	(7,198,629)
გადატანა მარაგებში	-	-	(107,264)	(107,264)
2018 წლის 31 დეკემბერი	22,777,478	70,081,726	6,264,705	99,123,909
დაგროვილი ცვეთა				
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(5,976,706)	-	(5,976,706)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(3,060,552)	-	(3,060,552)
შვილობილ საწარმოზე გაცემული აქტივების ცვეთა	-	(17,665,497)	-	(17,665,497)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალების ცვეთა	-	1,163,823	-	1,163,823
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(25,538,932)	-	(25,538,932)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(2,811,564)	-	(2,811,564)
გაყიდული აქტივების ცვეთა	-	755,184	-	755,184
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(27,595,312)	-	(27,595,312)
საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერი	34,448,460	55,789,567	9,633,700	99,871,727
2017 წლის 31 დეკემბერი	27,572,159	45,762,785	6,547,446	79,882,390
2018 წლის 31 დეკემბერი	22,777,478	42,486,415	6,264,705	71,528,597

მშობელი კომპანიის პოლიტიკის თანახმად, თავდაპირველი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით. ჯგუფი ფლობს დიდი ოდენობით საინვესტიციო ქონებას და მათი სამართლიანი ღირებულების დადგენა დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით სოლიდურ სახსრებთან არის დაკავშირებული, რაც ჯგუფმა არ ჩათვალა ხარჯ-ეფექტიანად. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მშობელი კომპანიის მიერ საკუთარი ძალებით და დადგინა, რომ არსებითი განსხვავებები წმინდა საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის არ არსებობს, გარდა ზემოთ მოცემული შემთხვევისა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სესხის უზრუნველყოფაში არსებული საინვესტიციო ქონება.

შპს „ველაჯიო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

2017 წლის 31 დეკემბერს ერთ-ერთი უძრავი ქონება წარმოდგენილი იყო მშობელი კომპანიის ბალანსზე წმინდა საბალანსო ღირებულებით 32,389,193 ლარი. 2018 წლის 15 ოქტომბერს დამოუკიდებელმა შემფასებელმა, მშობელი კომპანიის დავალებით, განსაზღვრა უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება, რომელმაც 14,723,696

ლარი შეადგინა. შემფასებლის მიერ გამოყენებული იყო საბაზრო მეთოდი. ქონება გაქირავებულია საოპერაციო იჯარით და ყოველთვიური საიჯარო შემოსავალი 23,600 ლარს შეადგენს. დისკონტირების განაკვეთი საქართველოს ბაზრისათვის 10%-ს შეადგენს ხოლო გამოყენებული ღირებულება განისაზღვრა 2,832,000 ლარად, შესაბამისად ანაზღაურებად ღირებულებად მიჩნეულ იქნა ქონების სამართლიანი ღირებულება. სხვაობა აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის წარმოადგენს გაუფასურების ოდენობას. აღნიშნული მოვლენა განხილულ იქნა, როგორც მაკორექტირებელი მოვლენა და აქტივები გაუფასურდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

6. გაცემული სესხები

გაცემული სესხები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2018	2017
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	15,121,428	11,186,219
სესხების გაუფასურების ანარიცხი	(11,909,641)	-
სულ წმინდა სესხები	3,211,787	11,186,219

გაცემული სესხები კლიენტების მიხედვით:	2018	2017
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	377	-
სამსონ ფხაკაძე	433,381	389,341
შპს „ალმა“	2,625,000	-
შპს „გლობალ ტრანსი“	153,030	-
სს „დგბ საქართველო“	11,909,641	10,796,878
სულ გაუფასურებამდე	15,121,427	11,186,219
ანარიცხი		
სს „დგბ საქართველო“	(11,909,641)	-
წმინდა	3,211,785	11,186,219

შპს „ველაჯიო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

გაცემული სესხების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნაწილი მოცემულია ქვემოთ:

	2018	2017
გრძელვადიანი ნაწილი	535,430	9,517,037
მოკლევადიანი ნაწილი	2,676,357	1,970,945
სულ	3,211,787	11,487,982

ინფორმაცია სესხი ვადების საპროცენტო განაკვეთის და დაფარვის გრაფიკის შესახებ იხილეთ ქვემოთ:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირი თანხის გადახდის პერიოდი	საპროცენტო განაკვეთის გადახდის პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
სს „დგზ საქართველო“	10.11.15	01.11.27	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	8%	აშშ დოლარი
სამსონ ფხაკაძე	27.12.17	01.02.2021	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	12%	აშშ დოლარი
შპს „გლობალ ტრანს“	24.10.18	31.12.20	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	11%	ლარი
შპს “ალმა“	13.11.18	13.11.19	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	12%	ლარი
შპს “ალმა“	30.11.18	30.11.19	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	12%	ლარი
შპს “ალმა“	01.11.18	30.09.19	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	10%	აშშ დოლარი

გაცემული სესხების გაუფასურების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	-
ფასს 9-ის გავლენა	(10,796,878)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(10,796,878)
გაუფასურების ზრდა	(1,112,763)
ამობრუნება	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(11,909,641)

ინფორმაცია გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტის შესახებ იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნაში.

დარიცხულმა პროცენტმა წლის განმავლობაში შეადგინა 209,640 ლარი.

გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

შპს „ველაჯიო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

გაცემული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

გრძელვადიანი ნაწილი:	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	სესხის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
